UDC 327.1
SCOPUS CODE 3320
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-4-306-325

ადამიანის ბუნების და ომის პრობლემატიკა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში: თუკიდიდეს, თომას ჰობსის და ჰანს მორგენთაუს ნაშრომების შედარებითი ანალიზი

დავით ხუფენია პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: khupenia.d@gtu.ge

ომარ ლორთქიფანიძე პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: omikolordkipanidze@gmail.com

კობა რუხაძე პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: kobaruxadze2@gmail.com

რეცენზენტები:

ს. მიდელაშვილი, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: midelashvilisopo07@gtu.ge

თ. კუპრეიშვილი, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: t.kupreishvili@gtu.ge

ანოტაცია. წინამდებარე სტატია წარმოადგენს მცდელობას პოლიტიკური რეალიზმის პარადიგმასთან ასოცირებული სამი ცენტრალური ფიგურის: თუკიდიდეს, თომას ჰობსისა და ჰანს მორგენთაუს ნაშრომების პრიზმაში გაანალიზდეს ომების ფენომენი, უფრო სწორად კი ადამიანის ბუნების ის მახასიათებლები, რაც ომებს იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ სამივე მოაზროვნე წარმოადგენს ფილოსოფიის ისტორიის სხვადასხვა პერიოდს (ანტიკური ხანა, ახალი დრო და თანამედროვეობა) მათ ნაშრომებს ახასიათებს ერთი ძირითადი პრობლემატიკა – ადამიანი (უფრო სწორად კი ადამიანის ბუნებრივი არასრულყოფილება). იმავდროულად ჩვენ მივაგე-

ნით სამივე თეორეტიკოსის ხედვებს შორის ერთ ძირითად მსგავსებას, რაც არის გამოხატული ღრმა ტრაგიკულობის განცდით პოლიტიკის და ადამიანის მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ომების გაჩაღების მიზეზების კვლევის ფარგლებში ის მსგავსი მახასიათებლები, რომლებზე დაყრდნობითაც თუკიდიდე, ჰობსი და მორგენთაუ ცდილობენ აღწერონ „პოლიტიკური ადამიანი"; აგრეთვე აღმოგვეჩინა ის თეორიული და კონცეპტუალური მემკვიდრეობითობა, რაც 2500 წლის განმავლობაში გადადის ერთი მოაზროვნიდან მეორეზე. აღნიშნული საკითხის ეპოქალურმა აქტუალობამ მიგვიყვანა ორ ძირითად დასკვნამდე: 1) პოლიტიკურ ფილოსოფიას აქვს ცენტრალური პრობლემატიკა; 2) აღნიშნული პრობლემა დღემდე მოუგვარებელი რჩება.

წინამდებარე სტატიაშიც ვცადეთ ეს ორი დასკვნა შემლებისდაგვარად გაგვეანალიზებინა და წარმოგვესახა პრობლემის აქტუალობა.

ჩვენი სტატიის აქტუალობაც ზუსტად ამ პრობლემიდან გამომდინარე გვესახება: სტატია წარმოადგენს მოკრძალებულ მცდელობას პოლიტიკური რეალიზმის პარადიგმის ფარგლებში აღმოჩენილ და გაანალიზებულ იქნეს ადამიანის ბუნების პრობლემურობა, რომელიც ომების დაწყების მიზეზს წარმოადგენს. კვლევა ჩატარებულია თუკიდიდეს, თომას ჰობსის და ჰანს მორგენთაუს ნაშრომების ანალიზის საფუძველზე. გამოვიყენეთ კვლევის შემდეგი მეთოდოლოგია: ტექსტის ანალიზი; ჰერმენევტიკა (ინტერპრეტაციული მეთოდი); შედარებითი ანალიზი; კონცეპტუალური ანალიზი; ისტორიულ-კონტექსტუალური მეთოდი; დისკურსის ანალიზი. იმედი გვაქვს, სტატია მკითხველს ნათლად დაანახებს პრობლემატიკის მნიშვნელობას კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში და გაზრდის ინტერესს კლასიკური პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართ.

საკვანძო სიტყვები: ადამიანის ბუნება; თომას ჰობსი; თუკიდიდე; ომი; პოლიტიკური რეალიზმი; ჰანს მორგენთაუ.

შესავალი

თუკიდიდე, თომას ჰობსი და ჰანს მორგენთაუ სხვადასხვა ისტორიული მოვლენების (პელოპონესის ომი, ინგლისის სამოქალაქო ომი და ორი მსოფლიო ომი) მოწმეები იყვნენ და ერთი შეხედვით განსხვავებულ კონცეპტუალურ და ტერმინოლოგიურ აპარატს იყენებენ, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მათ ძირითად ცნებებში, მაგალითად თუკიდიდესეულ ōphéleia (უპირატესობის მოპოვების ინტერესი), ჰობსისეულ Competition (ძალაუფლების სურვილი) და მორგენთაუს Animus Dominandi (ძალაუფლებისკენ სწრაფვა), ამოიკითხება საერთო მახასიათებლები და მნიშვნელობა, რაც, შესაძლებელია, ერთიან აღწერილობით თეორიაში იქნეს აყვანილი და ჩამოყალიბდეს „ეგოისტური ადამიანის" კონცეფცია. ასეთი მსგავსებები, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს შემთხვევითობას, სამივე ფილოსოფოსი არის ერთიანი ევროპული ფილოსოფიის, კონკრეტულად კი პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენელი. თუკიდიდეს მიერ დაწყებული სწავლება, საკუთარი სიღრმისეულობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, წარმოადგენს მრავალი ფილოსოფოსის შთაგონების წყაროს. ამის გამო იგი 2500

წლის გასვლის მიუხედავად, დღემდე რჩება რეფლექსირების საგნად. ჩვენი კვლევაც წარმოადგენს მოკრძალებულ მცდელობას პოლიტიკურ რეალიზმთან დაკავშირებული სამი ცენტრალური ფიგურის იდეების შესწავლის შედეგად, გამოიკვეთოს მათი აქსიომატური და თეორიული მსგავსება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს დავსახოთ საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის სკოლის სისტემატიზებული ხედვა ომების ფენომენის შესახებ.

ძირითადი ნაწილი

1. თუკიდიდე

კლასიკური პოლიტიკური ფილოსოფოსების ღირებულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ისინი პრობლემას განიხილავენ აბსოლუტიზმის პერსპექტივიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ და ჩვენ მიერ განხილვად საკითხს შევეხოთ, თუკიდიდე არა კონკრეტულ მოვლენას – პელოპონესის ომს – აღწერს, არამედ პელოპონესის ომის პრიზმაში ცდილობს ომის, როგორც ფენომენის ბუნების გაგებას. შესაბამისად, იგი გვთავაზობს ფუნდამენტურ თეორიას კონფლიქტების დაწყების მიზეზებზე, რომელიც, მისი აზრით, მანამდელ და მის მერეც ყველა ომს ახსნის. აღნიშნულ მინიშნებას ფილოსოფოსი თავის ტრაქტატში პირველივე წინადადებიდან გვაძლევს: „ის [რედ. თუკიდიდე] თავისი ნაშრომის [რედ. ისტორია] წერას ომის დაწყებისთანავე შეუდგა, რადგან თავიდანვე მიხვდა, რომ ეს ომი ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი იქნებოდა აქამდე წარმოებულ ყველა ომს შორის“ (Thucydides, 2013, გვ. 7). თუკიდიდეს სიტყვებს თუ დავუჯერებთ, რომ მის მიერ აღწერილი ომი არის კაცობრიობის ისტორიაში ყველზე ღირსშესანიშნავი და მნიშვნელოვანი, მივალთ დასკვნამდე, რომ ჭეშმარიტი ომი, თავისი სისრულით, გამოიხატა ზუსტად რომ პელოპონესის ომში. შესაბამისად, ამ მოვლენის გააზრება გვაძლევს შესაძლებლობას გავიგოთ ნებისმიერი ომის ბუნება შემდეგი ლოგიკით: ვინაიდან პელოპონესის ომი არის სრულყოფილი, შესაბამისად მანდ აბსოლუტური სისრულით მოხდა ყველაფერი, რაც შეიძლება მომხდარიყო ომში. აქედან გამომდინარე, ყველა სხვა ომი პელოპონესის ომის მხოლოდ ნაწილობრივი გამოხატულებაა.

თვითონ ფილოსოფოსი თავის ტრაქტატზე წერს: „ვშიშობ, რომ ჩემს ისტორიაში რომანტიკის არარსებობა გარკვეულწილად შეამცირებს მის მიმართ ინტერესს; მაგრამ, თუ მკვლევრები, რომლებსაც სურთ წარსულის ზუსტი ცოდნა მომავლის ინტერპრეტირებისთვის, სასარგებლოდ მიიჩნევენ ჩემს ნაშრომს, კმაყოფილი ვიქნები. საბოლოო ჯამში, მე დავწერე ჩემი ნაშრომი არა როგორც ესსე, რომელიც წამიერ აპლოდისმენტებს დაიმსახურებს, არამედ როგორც კაცობრიობის სამუდამო მონაპოვარი“ (Thucydides, 1900, წიგნი 1, თავი 22, აბზაცი 4).

ისტორიულმა კონტექსტმა, რომელშიც ანტიკური ფილოსოფოსები ცხოვრობდნენ, ჩამოაყალიბა მათი გაგება ომის ბუნების შესახებ, აგრეთვე იმ დროს მიმდინარე მოვლენების ისტორიულმა მნიშვნელობამ ხელი შეუწყო მათი ფილოსოფიის მუდმივ აქტუალობას. უშუალო მონაწილეობამ პელოპონესის ომში თუკიდედეს მისცა გამოცდილება გაეკეთებინა პირველადი დაკვირვებები კონფლიქ-

ტების პოლიტიკურ და ადამიანურ ფაქტორებზე[1]. მაგალითად, თუკიდიდეს მიერ პელოპონესის ომის ანალიზი არა მხოლოდ ისტორიულ კვლევას წარმოადგენს, არამედ იმ პოლიტიკური და ადამიანური ელემენტების ღრმა გააზრებაა, რომლებმაც ომი გამოიწვია.

თუკიდიდე მიიჩნევდა, რომ ხალხთა შორის კონფლიქტები განპირობებულია ადამიანის ბუნებით, უფრო კონკრეტულად კი ადამიანის ბუნების სამი ძირითადი მახასიათებლით: **შიში (phobos), პატივი (timē) და ინტერესი (უპირატესობის მოპოვების სურვილი) (ōphéleia).**

შიში

ანტიკური ფილოსოფოსებისთვის ადამიანის შინაგანი გრძნობები განაპირობებდა სოციალურ კონსტრუქტებს. პლატონის აზრით, პოლიტიკურ სისტემას (ეიდოს) განსაზღვრავს პირველადი იდეა (ლოგოსი) – პლატონი ამიტომ ასახელებს სამართლიანობას, როგორც პოლიტიკური სისტემის ფუძემდებლურ ელემენტს. შესაბამისად, ანტიკური ფილოსოფოსები ეძიებდნენ ადამიანის ბუნებაში იმ პირველად იდეას (ლოგოსს), რომელიც იქნებოდა პოლიტიკის მამოძრავებელი ძალა. კლასიკურმა ფილოსოფიურმა ტრადიციამ ასე მიაგნო შიშის მნიშვნელობას პოლიტიკურ აქტში, რამაც გამოხატვა პოვა ისეთ ავტორებშიც კი, რომლებიც საერთოდ არ ასოცირდებიან პოლიტიკურ რეალიზმთან – პლატონი[2], დემოკრიტე[3], ეპიკურე[4] და არისტოტელე[5]. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, კლასიკური პოლიტიკური ფილოსოფიის მთავარი ამოცანაა ადამიანის ბუნების გაგება, ჩვენი კვლევის შემთხვევაში კი – მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის – შიშის გააზრება, და უკვე

[1] ანალოგიურად, პლატონის ფილოსოფია ჩამოყალიბდა პელოპონესის ომისა და ათენში შემდგომი პოლიტიკური არასტაბილურობის ფონზე. აგრეთვე არისტოტელეს შეხედულებების ჩამოყალიბება ომისა და მშვიდობის თაობაზე მოხდა ძველი საბერძნეთის პოლიტიკური კრიზისების, მათ შორის სხვადასხვა ქალაქ-სახელმწიფოებს შორის რთული ურთიერთობებისა და კონფლიქტების ფონზე. ომებში პირდაპირმა ჩართულობამ ანტიკურ ფილოსოფოსებს მისცა შესაძლებლობა საკუთარი ფილოსოფია დაეფუძნებინათ კონფლიქტების რეალობაზე, რამაც მოგვცა იდეები, რომლებიც არა მხოლოდ აბსტრაქტული თეორიებია, არამედ არის გენიოსების მიერ კრიზისის დროს ადამიანის ქცევასა და პოლიტიკურ დინამიკაზე რეფლექსირებით შექმნილი ფილოსოფია.

[2] პლატონმა თავის ნაშრომში „პოლიტია“ (სახელმწიფო) გამოიკვლია, თუ როგორ შეუძლია შიშს გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ და სოციალურ წესრიგზე. ფილოსოფოსი თვლიდა, რომ დასჯის შიში და ღმერთების შიში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლიანობისა და საზოგადოების ერთიანობის შენარჩუნებაში.

[3] ცნობილი ატომისტური თეორიის ერთ-ერთი დამფუძნებელი დემოკრიტე ასევე შეისწავლიდა შიშის ადგილს ადამიანის ცხოვრებაში. მას სჯეროდა, რომ ფენომენების ბუნებრივი მიზეზების გაგებამ შეიძლება შეამსუბუქოს ირაციონალური შიშები და ხელი შეუწყოს უფრო რაციონალურ და მშვიდობიან ცხოვრებას.

[4] ეპიკურე შეისწავლიდა სიკვდილისა და ღმერთების მიმართ შიშის გავლენას ადამიანის ბედნიერებაზე. ეპიკურეს სჯეროდა, რომ ირაციონალურმა შიშებმა, განსაკუთრებით, რაც დაკავშირებულია ღვთაებრივ დასჯასთან და საიქიო ცხოვრებასთან, შეიძლება გამოიწვიოს ზედმეტი შფოთვა და ტანჯვა. მისი ფილოსოფია მიზნად ისახავდა ადამიანის ამ შიშებისგან განთავისუფლებას, რათა მიღწეული ყოფილიყო სიმშვიდისა და კმაყოფილების მდგომარეობა.

[5] არისტოტელემ თავის ნაშრომში „რიტორიკა“ შეისწავლა შიშის ფენომენი და მისი გავლენა ადამიანის ქცევასა და გადაწყვეტილებაზე. მან აღწერა შიში, როგორც ძლიერი ემოცია, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ადამიანის ქმედებებსა და ღირებულებებზე.

ამაზე დაყრდნობით პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი აქტის – ომის კვლევა.

შიშის გრძნობა წარმოადგენს ცენტრალურ ცნებას თუკიდიდეს ფილოსოფიაში – იგი არის ძლიერი მოტივი, რომელიც უბიძგებს ადამიანს და სახელმწიფოს იმოქმედონ თავიანთი უსაფრთხოების დასაცავად. ფილოსოფოსის ნაშრომებში შიში ხშირად მომდინარეობს საფრთხეების მოლოდინიდან, რაც იწვევს პრევენციული ნაბიჯების გადადგმასა და საბოლოოდ კონფლიქტის გაჩაღებას.

პატივი

პატივი, თუკიდიდესთვის, წარმოადგენს ადამიანის დიდების, პრესტიჟისა და რეპუტაციისკენ სწრაფვის დაუოკებელ სურვილს. ბერძენი ფილოსოფოსის თანახმად, ყველა ადამიანი და, შესაბამისად, სახელმწიფო ესწრაფვის სახელის მოხვეჭას და ძალაუფლებას, რაც იწვევს ინტერესთა კონფლიქტს და, შესაბამისად, ომებს, ვინაიდან აქტორები ცდილობენ თავიანთი სიძლიერისა და უპირატესობის დამტკიცებას ერთმანეთისთვის.

ინტერესი (უპირატესობის მოპოვების სურვილი)

ინტერესი გულისხმობს მატერიალური მოგებისა და სტრატეგიული უპირატესობების ძიებას. თუკიდიდე აღიქვამს სახელმწიფოებს, როგორც რაციონალურ აქტორებს, რომლებიც კონფლიქტში მონაწილეობენ ეკონომიკური სარგებლის, ტერიტორიული გაფართოებისა და ძალაუფლების მოხვეჭის მიზნით.

თუკიდიდე პელოპონესის ომის პირველი ეტაპის დასრულებისა და ნიკიას ზავის მოქმედების პერიოდში აღწერს ათენელებში მიმდინარე პოლიტიკურ კამათს: „მშვიდობის მოწინააღმდეგეებმა ათენში ხელშეკრულების დარღვევაზე დაიწყეს ლაპარაკი. მათ შორის მთავარი ალკიბიადესი იყო, ახალგაზრდა კაცი, რომელიც თავისი წარმომავლობის გამო უკვე დიდი პატივისცემით სარგებლობდა. ის სიამაყისა და შეურაცხყოფილი პატივმოყვარეობის გამო მშვიდობის მოწინააღმდეგე იყო და არგოსთან კავშირი ერჩია – ლაკედემონელები ხომ მოლაპარაკებას ნიკიასთან და ლაქეტესთან აწარმოებდნენ, იგი კი უგულებელყვეს. ალკიბიადესი თავიდან მშვიდობის წინააღმდეგ გამოდიოდა და ამბობდა, რომ ლაკედემონელთა ნდობა არ შეიძლება: ისინი ჯერ ათენელთა დახმარებით აპირებენ არგოსელთა შემუსვრას, შემდეგ კი – თვით ათენელებზე თავდასხმას“(Thucydides, 2013, გვ. 226).

თუკიდიდეს აღნიშნული ციტატა იდეალურად აღწერს სამივე პრინციპის მნიშვნელობას პოლიტიკურ აქტში: 1) ომის განახლებაზე ალკიბიადესის მთავარი არგუმენტი არის, რომ თუ ათენი ომს არ განაახლებს, მაშინ სპარტა კიდევ უფრო გაძლიერდება და შემდგომ უკვე ათენს „თავს დაესხმება და შემუსრავს“. შესაბამისად, იგი თამაშობს ათენელების შიშის გრძნობაზე და აჯერებს მათ, რომ ძლიერი სპარტა საშიშია, ვინაიდან მათ განადგურებით ემუქრება; 2) ალკიბიადესი ზემოქმედებას აგრეთვე ახდენს ათენელების სიამაყის გრძნობაზე – იგი მოიხსენიებს ლაკედემონელებს, როგორც დამპყრობლებს და მათ წინააღდეგ ბოროტი ზრახვების მქონეებს. აქედან გამომდინარე, სამართლიანობის აღდგენისათვის და ათენისთვის კუთვნილი ადგილის შენარჩუნებისთვის, აუცილებლობას წარმოადგენს ომის განახლება; 3) თვითონ ალკიბიადესის

მოტივს რაც შეეხება, თუკიდიდე ხსნის ამას პატივ-მოყვარეობის გრძნობით – ახალგაზრდა მხედართ-მთავარი, რომელსაც მმართველობითი ამბიციები აქვს, სწრაფი ძალაუფლების მოხვეჭას ხედავს ომის პირობებში.

თუკიდიდეს ზემოაღნიშნული „ტრიადა“ ერთად ერწყმის ათენის მიერ ომის განახლების მოტივში, რომელიც, შეიძლება მარტივად გადმოიცეს ასე – ნიკიას ზავის დარღვევისა და ომის განახლების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ალკიბიადესის **პატივის** მოხვეჭის **ინტერესი**, რაც მან განახორ-ციელა ათენელებში **შიშის** გრძნობის გაღვივებითა და ღირსების გრძნობაზე მანიპულირებით.

შიშის იდეა რომ განვავრცოთ – თუკიდიდეს ფი-ლოსოფიაში პელოპონესის ომის დაწყებაზე ყვე-ლაზე ცნობილი ციტატა გვაუწყებს: ომის დაწყების „ძირითადი, თუმცა ფარული მიზეზი, ჩემი ღრმა რწმენით, იყო ლაკედემონელთა შიში ათენის მზარ-დი ძლიერების გამო“ (Thucydides, 2013, გვ. 18) - აღნიშნულ მოვლენას ეწოდება „თუკიდიდეს ხა-ფანგი“, რომელიც შემდგომ ჯონ ჰერცმა, რობერტ ჯერვისმა და სტეფან ვალტმა განავითარეს და შექმ-ნეს „უსაფრთხოების დილემა“ (თანამედროვე პო-ლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი ცენტრალური ცნება). შესაბამისად, თუკიდიდეს ნაშრომში ჩვენ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ უსაფრთხოების დილემის პირველადი და ყველაზე მნიშვნელოვანი აქსიომები და დავსახოთ ისინი, როგორც მისი ფილოსოფიის ძირითადი შეხედულება ომის დაწყების მიზეზის ძიების გზაზე: ათენის მზარდმა სიძლიერემ ლაკე-დემონელებში შიშის და დაუცველობის გრძნობა გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, აიძულა სპარტა ათენის მზარდი გავლენა საკუთარი სიძლიერისა და უსაფრთხოების გამოწვევად აღექვა. შესაბამისად, ლაკედემონელებმა თავი იძულებულად იგრძნეს ეპასუხათ სამხედრო გაძლიერებითა და საბოლოოდ ომის გამოცხადებით, რადგან ათენისგან მომავალი საფრთხის დასაძლევად აუცილებელ ზომად მიიჩ-ნიეს ომის დაწყება.

თუკიდიდეს მიერ პელოპონესის ომის დაწყების მიზეზების შესწავლა ისეთ ძირითად თემებს მოი-ცავს, როგორიცაა: სახელმწიფოს მზარდი ძალაუფ-ლების გავლენა სხვა პოლიტიკურ აქტორებზე და მათი შიში, რომელიც მეტოქეებში აძლიერებს თავ-დაცვის ინტერესს.

მიუხედავად იმისა, რომ ანტიკურ სამყაროში ლაკედემონელთა პოლისი ყოველთვის ითვლებო-და პოლიტიკური სამართლიანობის, სიმამაცისა და ზომიერების განსახიერებად (უმთავრესად ლიკურ-გეს კანონების წყალობით (Xenophon, 1925, გვ. 138-141)), თუკიდიდე მაინც ვარაუდობს, რომ ლაკედე-მონელების მიერ ომის დაწყების გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი ათენის მზარდი ძალაუფლებით გამოწველი შიშის გრძნობა იყო (Thucydides, 2013, გვ. 18), შესაბამისად, ყველაზე სამართლიანი პოლი-სიც კი, უპირველეს ყოვლისა, თვითგადარჩენისა და საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების ინტერე-სით ხელმძღვანელობდა. თუკიდიდეს ფილოსოფია ხაზს უსვამს საერთაშორისო ურთიერთობებში ჩარ-თული აქტორების ძირითადი მოტივებისა და აღქ-მების გააზრების კრიტიკულ მნიშვნელობას. სამყა-როში, სადაც საკუთარი ინტერესების დაცვა და სხვისი მზარდი ძალაუფლების შიში ხშირად კრი-ტიკულად მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნაბიჯე-ბის დასაგეგმად, სამართლიანობის ან მორალუ-რობის აბსტრაქტული ცნებებით აპელირება შეიძ-

ლება არასაკმარისი აღმოჩნდეს ომის თავიდან ასაცილებლად.

რაც შეეხება ომის მეორე მხარეს, თუკიდიდე წერს, რომ ათენელი პოლიტიკოსები ღიად ამტკიცებდნენ, რომ „ლეგიტიმურობის“ ან სამართლიანობის იდეებს მცირე გავლენა აქვს ქალაქ-სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებზე, რომ ძლიერის წესია სუსტზე ბატონობა (Thucydides, 2013, გვ. 185) და რომ ეგოიზმი უცვლელად დომინირებს ნებისმიერ მორალურ არგუმენტზე (განსაკუთრებით ძალაუფლების მოხვეჭის წინააღმდეგ მიმართულ მოსაზრებებზე).

მიუხედავად იმისა, რომ პელოპონესის ომში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი დიამეტრალურად განსხვავებული პოლიტიკური სხეული - ათენი (დემოკრატიული, პრაგმატული, ძალაუფლებისკენ მიდრეკილი, ავანტიურისტული და იმპერიალისტური) და ლაკედემონელები (ოლიგარქიული, ტრადიციონალისტური, სამართლიანი, სტაბილურობაზე ორიენტირებული) – ორივე პოლისი დაემორჩილა პოლიტიკის აბსოლუტურ კანონზომიერებას – ერთმანეთის სიძლიერის შიში; პატივის მოხვეჭის სურვილი; ერთმანეთზე უპირატესობის მოპოვების ინტერესი. ხოლო აღნიშნულმა პოლიტიკურმა კანონზომიერებამ ნათლად დაგვანახა თუ როგორ შეიძლება განსხვავებულმა პოლიტიკურმა კულტურებმა, სტრატეგიულმა მიზნებმა და საფრთხის აღქმამ მნიშვნელოვნად შეუწოს ხელი დაძაბულობის ესკალაციას და საბოლოოდ მასშტაბური ომის გაჩაღებას.

კლასიკური ფილოსოფია, რომელიც ამახვილებს ყურადღებას პოლიტიკური აქტორების ეგოისტური ინტერესების კრიტიკულ მნიშვნელობასა და საერთაშორისო ურთიერთობებში ძალაუფლებისთვის მუდმივ ბრძოლაზე, გვთავაზობს ღირებულ ხედვას იმაზე, თუ რატომ აწყდებიან თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციები სირთულეებს ომების ეფექტიანად თავიდან აცილების გზაზე (მათი იდეალისტური მიზნების მიუხედავად). რეალისტური პერსპექტივა, განსაკუთრებით თუკიდიდეს ფილოსოფია, ვარაუდობს, რომ სახელმწიფოები ყოველთვის პრიორიტეტს ანიჭებენ საკუთარ უსაფრთხოებასა და ინტერესებს, რამაც შეიძლება შეარყიოს კოლექტიური უსაფრთხოების ეფექტიანობა.

როგორც ვხედავთ, თუკიდიდეს პოლიტიკური ფილოსოფია ღრმად ტრაგიკულია და მიუხედავად პლატონის და სხვა იდეალისტური სკოლების ძალისხმევისა, დღემდე თუკიდიდესეული ტრაგიზმი პოლიტიკის განუყოფელი თანმხლებია.

თუკიდიდემ შემლო აღეწერა კაცობრიობის ყველაზე მძიმე ჟამს (ყველაზე დიდი ომების პერიოდში, როდესაც არ არსებობს არავითარი შემაკავებელი ძალები) ადამიანის ბუნება, რის შედეგადაც, ბოდრეარის სიტყვებით რომ ვთქვათ, შიშველი პოლიტიკა დაგვანახა. ხოლო ამ შიშველ პოლიტიკაში უკვე ჩვენ ვხვდებით „შიშველ ადამიანს“, როგორც არარაციონალურ, მშიშარა, ამორალურ, ძალაუფლებისთვის მებრძოლ, სასტიკ და ეგოისტ არსებას. თუკიდიდემ დაგვანახა, რომ ადამიანი რომელიც დაკარგავს პოლიტიკურ (ინსტიტუციურ) და მეტაფიზიკურ (რელიგიურ/მორალურ) საყრდენს, არ იწყებს დეკარტისეულ რეფლექსირებას და არ მიდის დასკვნამდე – Cogito Ergo Sum (ლათ. ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ), არამედ, მძიმე ჟამს უბრუნ-

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

დება ყველაზე პრიმიტიულ და გასაგებ მატერიებს – სხეულის გრძნობებს, და, შესაბამისად, განაცხადებს – „Sentio Ergo Sum“ (ლათ. ვგრძნობ, მაშასადამე ვარსებობ), რასაც უკვე მოჰყვება „პუშკინისეული“ ლხინი ჟამიანობის დროს.

აღნიშნული იდეა კიდევ უფრო ტრაგიკულ სახეს იძენს, როდესაც ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ „ლხინი ჟამიანობის დროს“ ადამიანებში იწყება როცა პოლიტიკური და მორალური ინსტიტუტები ინგრევა, შესაბამისად, ეს კაცობრიობის ისტორიის კონკრეტული მონაკვეთებია, რომლებსაც, გარდაუვლად, მოჰყვება მშვიდობისა და აღმშენებლობის დრო. მაგრამ, საერთაშორისო ურთიერთობებში, ანუ სახელმწიფოების ბუნებაში, არასოდეს არსებობდა პოლიტიკური ან მორალური ავტორიტეტები, შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობები პერმამენტულად ანარქიულ მდგომარეობაშია, რაც უკვე გამოხატავს არა ადამიანურ არამედ საკაცობრიო ტრაგიზმს.

სტატიის აღნიშნული თავის დასკვნით ნაწილში გვსურს აღვნიშნოთ, რომ კორკირეის სამოქალაქო ომის ეპიზოდში (წიგნი III), თუკიდიდე წერს: „ომი ძალადობრივი მასწავლებელია“ – აღნიშნულზე აპელირებით გვსურს გამოვიტანოთ ნარატიული დასკვნა, რომ თუკიდიდე ქმნიდა არა სახელმძღვანელოს და გზამკვლევს (სკოლას, როგორც უყვართ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებს ამის დარქმევა), არამედ დასახა პრობლემა – სინათლეზე გამოიტანა ის ნაცხი, რომელსაც ადამიანი საკუთარ თავში ატარებს და საკითხად დააყენა ამ პრობლემის მოგვარების გზების ძიების კრიტიკული საჭიროება (აღნიშნული პრობლემატიკა აბსოლუტურად სცილდება ჩვენი კვლევის საგანს, მაგრამ სათქმელია, რომ სოკრატედან მოყოლებული თითქმის ყველა თვალსაჩინო ფილოსოფოსი სწორედ ადამიანის ბუნების ნაკლოვანების აღმოფხვრას ცდილობს).

2. თომას ჰობსი

მე-17 საუკუნის ევროპის ისტორია გამოირჩევა მასშტაბური და ინტენსიური ომებით, რომლებმაც შექმნეს თანამედროვე პოლიტიკური აზროვნება, სახელმწიფოს ახლებური მოწყობის თეორიები და საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის პირველადი ჩანასახი. ზუსტად ამ პერიოდში ხდება გარდატეხა პოლიტიკურ აზროვნებაში – იმ ეპოქის გამოჩენილი მოაზროვნეების მიერ ხდება ომების გადააზრება, რის შედეგადაც კონფლიქტები აღარ აღიქმება ვიწროდ რელიგიური, დაქვემდებარებითი (ფეოდალური) და იმპერიალისტური პარადიგმის ფარგლებში, სადაც კონფლიქტის არსებობა/არარსებობა ღვთაებრივი დეტერმინირებულობის საკითხი იყო, არამედ დაიწყო კლასიკური პოლიტიკური ფილოსოფოსების ხედვების აღორძინება და მათი გადააზრების მცდელობა. ზუსტად ამ პერიოდში იწყება ომების ლოგიკისა და ადამიანისთვის მათი მნიშვნელობის ძიება, რასაც აქტიურად მოჰყვება ჰუმანისტური იდეების, თეორიებისა და კონცეფციების შემუშავება, სადაც ადამიანს ისევ უბრუნდება წარმმართველი როლი სამყაროში – იმ პერიოდიდან სამყარო ისევ ხდება ანთროპოცენტრისტული (Tarnas, 1991, გვ. 224).

მე-17 საუკუნის განმსაზღვრელი კონფლიქტი იყო ოცდაათწლიანი ომი (1618–1648), რომელმაც გაანადგურა ევროპის დიდი ნაწილი და განსაკუთრებული ზიანი მიაყენა რომის საღვთო იმპერიას. ამ

ომმა გააძლიერა წარმოდგენა, რომ ფართომასშტაბიანი კონფლიქტები არ იყო ღმერთის მიერ მოვლენილი განსაცდელი, სიკეთესა და ბოროტებას შორის მეტაფიზიკური კონფლიქტი და ღვთიური სამართლიანობის ან სასჯელის იარაღი (Wilson, 2009, გვ. 142). მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარის რელიგიური ლიდერები კონფლიქტს ამართლებდნენ, როგორც ჭეშმარიტი რწმენის შემოწმებას, როგორც კი ომი გაჭიანურდა და მისი დესტრუქციულობა გაიზარდა, ბევრმა დაიწყო მისი განხილვა, როგორც უაზრო კატასტროფისა და უმიზნო ბრძოლის. ომის დასრულებამ (1648) შექმნა ახალი პრინციპები ევროპულ პოლიტიკაში, განსაკუთრებულ სიახლეს კი წარმოადგენდა სახელმწიფოს სუვერენიტეტის იდეა, რომელიც, თავის მხრივ, კანონიერ უფლებას ანიჭებდა თითოეულ სახელმწიფოს ჰქონოდა სუვერენული უფლებამოსილება საშინაო საქმეებზე (გარე ჩარევის გარეშე) (Osiander, 2001).

მე-17 საუკუნის ინგლისის სამოქალაქო ომი (1642–1651) თავის დროზე აგრეთვე განიხილებოდა, როგორც აუცილებელი საშუალება ღრმა პოლიტიკური და რელიგიური დავების გადასაჭრელად. როიალისტები ომს განიხილავდნენ, როგორც ღვთაებრივი მონარქიის დაცვის უფლებას, ხოლო პარლამენტარები თვლიდნენ, რომ ისინი იბრძოდნენ კონსტიტუციური თავისუფლებების დასაცავად (Kenyon, 1986). თომას ჰობსი, რომელიც ამ პროცესების უშუალო მოწმე იყო, პრობლემას სხვა კუთხით ხედავდა: მან სასტიკი რეალობის პრიზმაში დაინახა სამოქალაქო ომის და შემდგომი ანარქიის (ბუნებითი მდგომარეობის) გაუსაძლისობა, რის შემდეგადაც თავის წიგნში „ლევიათანი ან საეკლესიო და სამოქალაქო სახელმწიფოს მატერია, ფორმა და ძალაუფლება“ (1651) სცადა ეპოვა „გასაღები“ ამ ქაოსის დასაძლევად და სამომავლოდ ასეთი შეცდომებისაგან საზოგადოებების დასაცავად.

ინგლისელი ფილოსოფოსი თომას ჰობსი (1588-1679) არის ახალი დროის პოლიტიკური ფილოსოფიის ცენტრალური ფიგურა, რომლის იდეები კვლავაც გავლენას ახდენენ მმართველობის, ადამიანის ბუნებისა და კონფლიქტების შესახებ თეორიებსა და პოლიტიკურ იდეოლოგიებზე. ჩვენი აზრით, ზუსტად ჰობსის ფილოსოფიის მონაპოვარია, რომ ომები აღიქმება როგორც აბსოლუტური ბოროტება და უაზრო ქმედება. მის ტრაქტატში აღწერილმა ბუნებითმა მდგომარეობამ სრულიად დაამსხვრია ომის რომანტიზების მცდელობები და ნათლად დაუსახა პოლიტიკურ აზროვნებას მთავარი ამოცანა – კაცობრიობამ ომები (ანარქია და ბუნებითი მდგომარეობა) უნდა დაძლიოს.

თომას ჰობსი პრობლემას უდგება ფუნდამენტურად და იწყებს მის განხილვას ადამიანის ბუნების კვლევით. ჰობსს, როგორც თუკიდიდეს, სწამს, რომ ნებისმიერ პოლიტიკურ აქტს აქვს ადამიანური საფუძვლები, შესაბამისად, ომის სისასტიკის შემყურეს, უჩნდება ღრმად პესიმისტური შეხედულება ადამიანის ბუნებაზე. ჰობსი, აგრეთვე როგორც თუკიდიდე, ამტკიცებს, რომ ადამიანს უმთავრესად საკუთარი ინტერესები და თვითგადარჩენის სურვილი ამოძრავებს (რაც, უმთავრესად, ძალადობრივი სიკვდილის შიშით არის ნაკარნახევი) (Hobbes, 2012, გვ. 192). ნეოპლატონიზმის ფილოსოფიის, ქრისტიანული იდეებისა და გვიანდელი ლიბერალური მოაზროვნეებისგან განსხვავებით, რომლებიც თვლი-

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

დნენ, რომ ადამიანი ბუნებით კარგია, მაგრამ მას გარემო „აფუჭებს“, თომას ჰობსი, ამტკიცებდა, რომ ადამიანი ბუნებრივად ეგოისტია, რომელიც მუდმივად კონკურენციისკენ მიისწრაფვის და თავდაუზოგავად დიდების ძიების პროცესშია (Hobbes, 2012, გვ. 190) (რაც გარდაუვლად იწვევს კონფლიქტებს), ხოლო გარემოს, ჰობსის შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოებას და პოლიტიკურ სხეულს ეკისრება ადამიანის გაკეთილშობილება.

ჰობსის მიხედვით, ანარქიულ მდგომარეობაში ადამინში, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, მოქმედებს მთავარი წესი – „ყოველის ომი ყოველის წინააღმდეგ“ (Hobbes, 2012, გვ. 192). ხოლო მდგომარეობას, სადაც ადამიანებს შორის მიმდინარეობს გაუთავებელი ომი, ფილოსოფოსი ხალხის ცხოვრებას აღწერს როგორც „ეული, ღარიბი, საზიზღარი, სასტიკი და ხანმოკლე“(Hobbes, 2012, გვ. 192). ყოველივე ეს კი ხაზს უსვამს სამ მთავარ ფაქტს – ადამიანი ბუნებით სასტიკია; ომი წარმოადგენს ყველაზე დიდ ბოროტებას; სახელმწიფო სუვერენის გარეშე შეუძლებელია ბუნებითი მდგომარეობის დაძლევა.

ჰობსისთვის ომი არ არის მხოლოდ მოვლენა, სადაც ჯარები ერთმანეთს ფიზიკურად უპირისპირდებიან, არამედ ეს არის ყოვლისმომცველი მდგომარეობა, რომელიც შეიჭრება ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტში და ხდის მას აუტანელს, სასტიკს და საზიზღარს. ინგლისელი ფილოსოფოსი ამტკიცებდა, რომ ბუნებითი მდგომარეობა არის პერმამენტული საომარი მდგომარეობა, რადგან არ არსებობს კანონის ან შეთანხმებების აღმასრულებელი ყოვლისმომცველი ძალა. მაგალითად, მაშინაც კი, თუ ორი ადამიანი აქტიურად არ მონაწილეობს ძალადობაში, უბრალო უსაფრთხოებისა და სხვებისადმი ნდობის ნაკლებობა უკვე ნიშნავს, რომ ისინი ყოველთვის მზად არიან კონფლიქტისთვის (აწმყოში ფიზიკურ ტკივილს თუ არ განიცდიან, სამომავლო ტკივილის მოლოდინში ფსიქოლოგიურად იტანჯებიან).

შესაბამისად, თომას ჰობსის ფილოსოფიის მთავარი აქსიომაა ის, რომ ადამიანი პოლიტიკური სხეულის გარეშე პერმამენტულ ომის მდგომარეობაშია (Hobbes, 2012, გვ. 190). აქედან გამომდინარე, ომის, როგორც ყველაზე დიდი ბოროტების გამოცხადებით, ჰობსი ადამიანის ბუნებას სახავს პოლიტიკური ფილოსოფიის მთავარ პრობლემად (და არა უშუალოდ ომს, როგორც ეს თანამედროვე სამეცნიერო სკოლებს ესახებათ).

ეს იდეა გადამწყვეტია ჰობსის არგუმენტისთვის სუვერენის არსებობის კრიტიკული აუცილებლობის შესახებ. ის ამტკიცებს, რომ სიკვდილის შიში და უსაფრთხოების სურვილი ადამიანს უბიძგებს მშვიდობის ძიებისკენ, მაგრამ მშვიდობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ინდივიდები კოლექტიურად გადასცემენ თავიანთ თავისუფლებებს (უმთავრესად ძალის გამოყენების თავისუფლებას) მმართველს ან მმართველ ორგანოს (Hobbes, 2012, გვ. 254).

ჰობსის გამოსავალი ადამიანის ბუნების „გამოსწორებისა“ და მუდმივი ომის დასრულების არის სოციალური კონტრაქტი. ამ კონტრაქტში ინდივიდი ნებით თმობს გარკვეულ უფლებებს და ემორჩილება აბსოლუტურ ხელისუფლებას, სუვერენულ მმართველს ან მთავრობას, უსაფრთხოებისა და წესრიგის სანაცვლოდ. ამ ხელისუფლებას, რომელსაც ის ლევიათანს უწოდებს, უნდა ჰქონდეს კანონების აღსრულებისა და მათი დაცვის, აბსოლუ-

ტური ძალაუფლება რაც ხელს შეუშლის საზოგადოებას დაბრუნდეს ქაოსში (Hobbes, 2012, გვ. 270).

ეს სოციალური კონტრაქტი არ არის პირდაპირი შეთანხმება, არამედ თეორიული კონსტრუქციაა, რომელიც განმარტავს, თუ რატომ აღიარებენ ინდივიდები მთავრობის უფლებამოსილებას. ჰობსი აცხადებს, რომ „ერთადერთი გზა ისეთი საერთო ძალის შესაქმნელად, რომელსაც შეუძლია დაიცვას ისინი უცხოელთა შემოსევისაგან და ერთმანეთის დაზიანებებისგან და ამით უზრუნველყოს ისინი ისე, რომ საკუთარი მრეწველობისა და მიწის ნაყოფით იკვებონ და იყონ კმაყოფილნი, არის მთელი თავისი ძალა გადასცენ ერთ კაცს, ან ადამიანთა ჯგუფს, რამაც შეიძლება მთელი მათი ნება, ხმების სიმრავლით, ერთ ნებამდე დაიყვანოს“ (Hobbes, 2012, გვ. 254).

ჰობსის იდეები ომის შესახებ ინდივიდუალური კონფლიქტების მიღმა ვრცელდება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროზეც. ვინაიდან არ არსებობს ცენტრალური ხელისუფალი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოების ქმედებებს, ერები არსებობენ პერმამენტულ ბუნებით მდგომარეობაში, სადაც ისინი საკუთარი ძალის ფარგლებში ხელმძღვანელობენ მხოლოდ საკუთარი ინტერესებით. აღნიშნული წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტურ პარადიგმას, რომელიც ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები მოქმედებენ თავიანთი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, რათა მაქსიმალურად გაზარდონ საკუთარი ძალაუფლება და უსაფრთხოება.

თუკიდიდესგან განსხვავებით, თომას ჰობსი უფრო მძაფრად აღიქვამს ომის ტრაგედიას და, შესაბამისად, ადამიანის ბუნების ნაკლოვანებას. აღნიშნული შეიძლება დავაბრალოთ იმ ფაქტს, რომ ახალი დროის ევროპა უფრო ფანატიკური, შესაბამისად უფრო სასტიკი და სისხლისმღვრელია ან ქრისტიანული მორალის გავლენის გამო სისასტიკე და სიკვდილი უფრო მძაფრად აღიქმება ინტელექტუალებში (პირველი მეორეს არ გამორიცხავს). ყოველ შემთხვევაში, სათქმელია, რომ თომას ჰობსის ფილოსოფია პირდაპირი და უფრო ნარატიული ხასიათისაა, სადაც პრობლემა ავტორის მიერვეა დასახული და გამოსავალიც აპრიორი ერთადერთია: (თუკიდიდესგან განსხვავებით) ჰობსი პირდაპირ სახავს ძალადობრივ სიკვდილს (ტანჯვას), როგორც ადამიანის მთავარ პრობლემას (ბოროტებას), ხოლო მთავარ მიზანს წარმოსახავს როგორც ტანჯვისგან გათავისუფლებას (სიკეთეს). პრობლემის ასეთმა გამძაფრებამ თომას ჰობსისგან მოითხოვა რადიკალიზმი, მან ადამიანის ბუნება გახადა უკომპრომისოდ „გაფუჭებული“, რის საპირწონედაც გონებით შექმნილი ხელოვნური სხეულები (სახელმწიფო) გახადა „აბსოლუტური სიკეთე“. აღნიშნულს, რა თქმა უნდა, ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა: ჟან ჟაკ რუსო, ჯონ ლოკი და შემდგომი ლიბერალები, მიუხედავად იმისა, რომ ჰობსისგან სოციალური კონტრაქტისა და ბუნებითი მდგომარეობის იდეებს „სესხულობენ“ (რეალურად, მისი შთამომავლებიც არიან პოლიტიკური ფილოსოფიის დისკურსში), ინგლისელ ფილოსოფოსთან შედიან მკაცრ დებატებში ადამიანის ბუნების შესახებ. თანამედროვე დროში რელიგიისა და ადამიანის გონების კრიტიკის ფონზე ლიბერალურ იდეოლოგიას დარჩა მხოლოდ ჰუმანისტური პრინციპები, სადაც ადამიანი

აუცილებლად უნდა იყოს მოქცეული სამყაროს ცენტრში. ხოლო ჰობსის მიერ ამ ფუძემდებლური პრინციპის (ადამიანობის) კრიტიკა პირდაპირ ურტყამს ლიბერალურ პარადიგმას. დღემდე ლიბერალური მოაზროვნეები ცდილობენ ჰობსის მიერ წარმოსახული ადამიანის გაკეთილშობილებას და ამის ყველაზე ნათელი და საინტერესო მაგალითია სტივენ პინკერის წიგნი The Better Angels of Our Nature: Why Violence Has Declined, რომელიც ისტორიულ პერსპექტივაში ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ ადამიანი ხდება „უკეთესი". შესაბამისად, აღნიშნულს მივყავართ საინტერესო დასკვნამდე, რომ რეალისტებსა და ლიბერალებს შორის უკვე კლასიკურად გამხდარი დებატები ღრმად არის გამჯდარი ევროპულ ფილოსოფიასთან, რისი წინაპირობაც შეგვიძლია ვიპოვოთ ჯერ პლატონ–ქსენოფონტეს ხედვებს შორის უთანხმოებაში, ხოლო შემდგომ, ახალ დროში, ჰობსი–ლოკს შორის „დებატებში" ადამიანის ბუნების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნული და ადამიანის სულისთვის ფილოსოფიური დებატები წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიაში ძალიან საინტერესო და, ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვან მომენტს. ჩვენი აზრით, შეუძლებელია ვილაპარაკოთ პრობლემის მოგვარებაზე, რომ არ ყოფილიყო ეს პრობლემა რადიკალური ფორმით დასახული. თუკიდიდეს და შემდგომ თომას ჰობსის ფილოსოფია, ჩვენი დაკვირვებით, უმთავრესად ემსახურება ამ პრობლემის ჩამოყალიბებას. თუკიდიდეს შემთხვევაში უფრო ფილოსოფიური და „დაფარული" ფორმით, ხოლო ჰობსის – პირდაპირი და მტკივნეული. აღნიშნულ პრობლემაზე საუბარი პოლიტიკური ფილოსოფიის კულტურაში ძლიერ არის გამჯდარი. თუკიდიდედან დაწყებული და თომას ჰობსის მიერ ახალ დროში აღორძინებული, დღემდე პოლიტიკური მოაზროვნეები, უმთავრესად პოლიტიკური რეალიზმის სკოლის წარმომადგენლები მუშაობენ ამ პრობლემატიკაზე და ცვალებადი სიმძაფრითა და აქტუალობით წარმოაჩენენ აღნიშნულ საკითხს.

3. ჰანს მორგენთაუ

ჰანს მორგენთაუ არის XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსი. იგი აღიარებულია საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის სკოლის დამფუძნებლად. როგორც სტენლი ჰოფმანმა აღნიშნა, „თუ ჩვენს დისციპლინას საერთოდ ჰყავს დამფუძნებელი მამა, ეს არის მორგენთაუ" (Hoffmann, 1977, გვ. 41).

მორგენთაუს, მთავარი თეორიული კონცეფცია წარმოდგენილია მის წიგნში (2006), სადაც მან ჩამოაყალიბა **კლასიკური რეალიზმის** 6 ძირითადი პრინციპი:

1. „პოლიტიკა იმართება ობიექტური კანონებით, ამ კანონებს კი ფესვები ადამიანის ბუნებაში აქვს გადგმული, რომელიც, თავის მხრივ, უძველესი დროიდან არ შეცვლილა და არ არის სრულყოფილი. რეალისტებისთვის გადამწყვეტია ფაქტების რაციონალური ანალიზი;

2. პოლიტიკის მთავარი მიმართულებაა ინტერესი, რომელიც ძალაუფლების ფორმატში აღიქმება; პოლიტიკური რეალიზმი შეიცავს როგორც თეორიულ, ისე ნორმატიულ ელემენტებს;

3. ძალა და ინტერესი არის ობიექტური და უნივერსალური კატეგორიები, თუმცა მათი ფორმები

და ინტერპრეტაციები შეიძლება დროისა და ვითარების მიხედვით იცვლებოდეს;

4. პოლიტიკური მოქმედება მორალურ შეფასებას ექვემდებარება, მაგრამ არსებობს მუდმივი დაძაბულობა მორალსა და წარმატებულ პოლიტიკურ ქმედებას შორის, პოლიტიკაში უმაღლესი სათნოებაა კეთილგონიერება;

5. არცერთი ქვეყნის მორალური მისწრაფებები არ შეიძლება მივიჩნიოთ საყოველთაო ზნეობრივ კანონებად;

6. პოლიტიკას გააჩნია შემეცნების ავტონომია, მოითხოვს პოლიტიკისათვის სპეციფიკურ აზროვნების მოდელს და აღიარებს ადამიანის ბუნების მრავალფეროვნებას (ეკონომიკურ, პოლიტიკურ, მორალურ, რელიგიურ ასპექტებში)“ (Pataraia, 2015, გვ. 228-346).

ჰანს მორგენთაუ პოლიტიკას, უპირველეს ყოვლისა, განიხილავდა, როგორც ძალაუფლებისთვის ბრძოლას და აშკარად ეხმიანებოდა თუკიდიდეს, მაკიაველისა და ჰობსის ფილოსოფიურ შეხედულებებს. მან, სხვაზე დომინირების უნივერსალური ადამიანური მოთხოვნილების აღსანიშნავად, გამოიყენა ლათინური ფრაზა “animus dominandi” (ლათ. ძალაუფლებისკენ სწრაფვა), რომელსაც იგი სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების მთავარ მამოძრავებელ ძალად თვლიდა. სხვაზე დომინირების იმპულსი, მორგენთაუს მიხედვით, ვრცელდება ადამიანთა საზოგადოების ყველა დონეზე, დაწყებული შიდა პოლიტიკიდან, დამთავრებული საერთაშორისო ასპარეზით (The Montreal Review, 2025).

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მორგენთაუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ როდესაც პოლიტიკური ელიტები ახორციელებენ პოლიტიკურ აქტს, ისინი მოქმედებენ ისეთ სფეროში, სადაც ვერცერთი ავტორიტეტი ან საერთაშორისო „პოლიცია” ვერ შეზღუდავს მათ ქმედებებს. შესაბამისად, მორგენთაუს აზრით, სახელმწიფოები მოქმედებენ ანარქიის პირობებში და მათი პირველადი ინტერესია გააფართოვონ საკუთარი ძალაუფლება და ხელი შეუშალონ სხვებს ამ პროცესში. ძალაუფლებისადმი „გაცხოველებული“ სწრაფვა საბოლოოდ ხსნის, თუ რატომ იყო კონფლიქტი განმსაზღვრელი ძალა საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში: „ძალაუფლებისთვის ბრძოლა უნივერსალურია დროსა და სივრცეში“(Morgenthau, 2006).

ჰანს მორგენთაუ კლასიკური პოლიტიკური ფილოსოფიის პრინციპებზე დაყრდნობით ცდილობს საერთაშორისო პოლიტიკის რაციონალური თეორიის შექმნას. მისი ყურადღება ორი ძირითადი კონცეფციისკენაა მიმართული – ძალასა და მშვიდობისკენ. მორგენთაუს აზრით, მსოფლიო პოლიტიკურ სისტემას აყალიბებს სუვერენული სახელმწიფოების სწრაფვა ძალაუფლებისკენ. ასეთ რეალობაში მშვიდობა შესაძლებელია მიღწეულ იქნეს მხოლოდ ორი გზით:

1) ძალთა ბალანსით – როცა სახელმწიფოები ერთმანეთს აბალანსებენ;

2) ნორმატიული შეზღუდვებით – საერთაშორისო სამართლის, მორალისა და საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით.

ამ ორი კონცეფციის აქსიომატურ საფუძვლად აღების შემდეგ მორგენთაუ ქმნის საერთაშორისო პოლიტიკის კომპლექსურ თეორიას, სადაც ერთ მხარესაა ძალა – როგორც პოლიტიკური გავლენა და

მისი დაბალანსების პრობლემები, ხოლო მეორე მხარესაა მშვიდობა – როგორც მორიგების, გარდაქმნისა და ნორმების გზით მიღწეული მშვიდობიანი მდგომარეობა.

ძალის განსაზღვრისას მორგენთაუ აღნიშნავს, რომ ძალაუფლება გულისხმობს ერთი ადამიანის კონტროლს მეორის აზრებსა და ქმედებებზე. პოლიტიკურ ძალაუფლებად კი ის მიიჩნევს ძალაუფლებით აღჭურვილ ადამიანებს შორის და მათ და საზოგადოებას შორის არსებულ ურთიერთობას.

მორგენთაუს აზრით, პოლიტიკის თეორიის საფუძვლები ადამიანის ბუნებაში უნდა ვეძებოთ. ძალაუფლებისკენ სწრაფვა მისთვის არა სოციალური გარემოს შედეგია, არამედ ბუნებრივი, უნივერსალური იმპულსია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ფუნდამენტურ ინსტინქტებთან – **სიცოცხლის შენარჩუნების, გამრავლებისა და დომინირებისაკენ სწრაფვასთან** (Pataraia, 2015, გვ. 350). ამ გზით მორგენთაუ პოლიტიკის არსს განიხილავს როგორც ძალაუფლებისათვის ბრძოლის გამოხატულებას, რომელსაც მტკიცე ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური საფუძველები აქვს. იგი ხაზს უსვამს, რომ დომინირებისკენ მისწრაფება არა მხოლოდ სახელმწიფოთა ურთიერთობებში ვლინდება, არამედ ადამიანის ყოველდღიურ ქცევაშიც – ოჯახიდან დაწყებული, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობებით დამთავრებული (Morgenthau, 2006, გვ. 37).

ამ ბუნებრივი იმპულსიდან გამომდინარე, მორგენთაუ გამოხატავს პოლიტიკური აქტის სამ ძირითად ფორმას: ძალაუფლების შენარჩუნება, გაფართოება და დემონსტრირება. ამ კატეგორიების უნივერსალურობა მიუთითებს, რომ საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკა საერთო ლოგიკას ემორჩილება – ორივე სფეროში მოქმედი სუბიექტები ერთნაირი ძალაუფლებრივი იმპულსებით იმართებიან. თუმცა, ამ სიღრმისეულ ერთობას პარალელურად ახლავს არსებითი სტრუქტურული განსხვავებები.

მორგენთაუ მიუთითებს, რომ შიდა პოლიტიკური სივრცე – სახელმწიფო – ცნობს იერარქიულ წესრიგს, ჰომოგენურ კულტურულ გარემოსა და ინსტიტუციურ სტაბილურობას, რაც საზოგადოებას ინტეგრირებული და ძალადობრივი რყევების მიმართ რეზისტენტულ ერთეულად აქცევს. საპირწონედ, საერთაშორისო სისტემაში არ არსებობს ცენტრალიზებული ძალაუფლება, არც ჰომოგენური ღირებულებათა სისტემა. სწორედ ამ მახასიათებლებითაა განპირობებული საერთაშორისო პოლიტიკის ანარქიულობა და ძალაუფლებისათვის ბრძოლის ძალმომრეობითი ფორმების სიხშირე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მორგენთაუსთვის ძალაუფლებისკენ სწრაფვა არა მხოლოდ პოლიტიკური ცხოვრების მთავარი დინამიკა, არამედ ის პარადიგმაა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პოლიტიკის ახსნა.

მორგენთაუს ძალაუფლებისათვის ბრძოლის თეორია მხოლოდ ინდივიდუალურ და უნივერსალურ დონეზე არ შემოიფარგლება, ის მას სისტემატურად ასახავს საერთაშორისო პოლიტიკის დონეზეც. პოლიტიკური აქტივობის სამ ძირითად ფორმას (ძალაუფლების შენარჩუნება, გაზრდა და დემონსტრირება) მორგენთაუ საგარეო პოლიტიკის სამ მოდელში – სტატუს-კვოს, იმპერიალიზმისა და პრესტიჟის პოლიტიკაში განიხილავს (Morgenthau, 2006, გვ. 50-51).

სტატუს-კვოს პოლიტიკა მოიაზრებს ძალაუფლების შენარჩუნებას, რაც მორგენთაუს მიხედვით, მიზნად ისახავს არსებული საერთაშორისო წესრიგის დაცვას. ამ პოლიტიკას ახორციელებენ სახელმწიფოები, რომლებიც კმაყოფილნი არიან არსებული მდგომარეობით და ეწინააღმდეგებიან რევიზიონისტულ აქტორებს.

იმპერიალიზმის პოლიტიკა გამოირჩევა აგრესიული ბუნებით და მიზნად ისახავს ძალაუფლების გაფართოებას, ანუ საერთაშორისო სტატუს-კვოს გადახედვას უფრო მძლავრი პოზიციის მისაღწევად. მორგენთაუ ამ მოდელს განიხილავს როგორც პოლიტიკური რესურსების მაქსიმალურად მობილიზებულ ფორმას, რომელიც ხშირად კონფლიქტების გენერატორად გვევლინება.

პრესტიჟის პოლიტიკა ფორმალურად აგრესიული ან კონსერვატიული არ არის, მაგრამ აღიარებას ისახავს მიზნად ძალაუფლების დემონსტრირების გზით. ძალაუფლება აქ სიმბოლურია იგი გამიზნულია ავტორიტეტის მოპოვებისთვის, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია საერთაშორისო არენაზე.

მორგენთაუ საგარეო პოლიტიკის ამ მოდელებს განიხილავს არა როგორც სტატიკურ კატეგორიებს, არამედ როგორც დინამიკურ პროცესებს, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. ისტორიული მაგალითებით ის აჩვენებს, თუ როგორ გადაადგილდებიან სახელმწიფოები ერთი მოდელიდან მეორეში – კონტექსტისა და ინტერესების ცვლილების პარალელურად.

ამრიგად, მორგენთაუს ანალიზი საგარეო პოლიტიკის სფეროში ავლენს ძალაუფლებისათვის ბრძოლის მრავალფეროვან სტრატეგიებს, რომლებიც, მიუხედავად განსხვავებული ფორმებისა, ერთი და იმავე ფუნდამენტური იმპულსიდან – დომინირებისაკენ სწრაფვიდან იღებენ სათავეს.

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკა არ კარგავს იმ თავისებურებებს, რომელსაც მორგენთაუ animus dominandi-ს სახით აღწერდა. მიუხედავად იმისა, რომ XXI საუკუნეში უფრო მეტად განვითარდა საერთაშორისო სამართალი, დიპლომატიური ინსტიტუტები და გლობალური ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, ძალაუფლებისკენ სწრაფვა კვლავ დომინანტური ფაქტორია სახელმწიფოთა ქცევაში.

რუსეთის უკრაინაში შეჭრა, ჩინეთის მზარდი გავლენა აზია-წყნარ ოკეანეში ან აშშ-ის გლობალური ჰეგემონიის შენარჩუნების მცდელობა, ყველა ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას მორგენთაუს რეალიზმის პრიზმაში. ეს არ არის მხოლოდ უსაფრთხოების ან ეკონომიკური ინტერესების საკითხი, ეს არის სახელმწიფოების ძალაუფლების გაფართოების მუდმივი სურვილი – სურვილი გავლენის განმტკიცებისა და ბატონობის დამყარებისა.

მორგენთაუს ხედვა დღესაც იმით რჩება რელევანტური, რომ ის არ განიხილავს პოლიტიკას იდეალისტური კონცეფციის ფარგლებში, ის გვიჩვენებს რეალობას ისეთს, სადაც ძალაუფლების ნება ადამიანის არსთან ერთად ცოცხლობს და კვლავაც განაგებს საერთაშორისო ურთიერთობებს.

ჰანს მორგენთაუსთვის Animus Dominandi არ არის იდეა მხოლოდ ინდივიდზე, ეს არის საყოველთაო მექანიზმი, რომელიც მოქმედებს პოლიტიკის ყველა დონეზე – ინდივიდუალურიდან გლობალურამდე. ძალაუფლებისკენ სწრაფვა ადამიანის ბუ-

ნებიდან მომდინარეობს, რომელიც გარდაუვლად აისახება სახელმწიფოთა ქცევაში. მიუხედავად იმისა, რომ ძალმომრეობითი მისწრაფებები შეიძლება მუქარად იქცეს მშვიდობისთვის, მორგენთაუ გვახსენებს, რომ ამ ბუნების შეცნობა და მიღება აუცილებელია. მხოლოდ ამ გზით შეიძლება, რომ პოლიტიკა გახდეს უფრო რაციონალური, პასუხისმგებლიანი და რეალისტური, რაც ხელს შეუწყობს „მარადიული მშვიდობისაკენ“ ილუზიებზე დაფუძნებული მისწრაფებების თავიდან აცილებას.

დასკვნა

ანტიკურმა ფილოსოფიამ დასვა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და იმავდროულად რთული კითხვა: რით განსხვავდება ადამიანი ყველა სხვა არსებისგან? აღნიშნულმა ფილოსოფიურმა პრობლემამ საკუთარი დასრულებული სახე მიიღო სოკრატეს დროს, როდესაც კითხვის ფორმულირება მოხდა შემდეგი სახით – რა არის ადამიანი? ზუსტად ამ მომენტიდან, და უკვე 2500 წლის გასვლის მიუხედავად, აღნიშნული პრობლემა წარმოადგენს პოლიტიკური ფილოსოფიის ცენტრალურ საკითხს (ვინაიდან ადამიანის გაგებით, ჩვენ შეგვეძლება გავიგოთ პოლიტიკის არსიც).

„ადამიანის სულისთვის ბრძოლა“ საუკეთესოდ გამოიხატა სოკრატეს მოწაფეებში, რომლებმაც შექმნეს 4 აბსოლუტურად განსხვავებული ფილოსოფიური სკოლა, რომლებსაც ახასიათებს ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნები ადამიანის არსზე: პლატონი (იდეალიზმი); ქსენოფონტე (პოლიტიკური რეალიზმი); ანტისფენი (ცინიზმი); არისტიპე (ჰედონიზმი). აღნიშნული დებატები დღემდე გარდამავალი სიმძაფრით მიმდინარეობს. მაგალითისთვის, დღეს ყველაზე აქტუალურია საერთაშორისო ურთიერთობებში ლიბერალებისა და რეალისტების კამათი სახელმწიფოს, უფრო სიღრმისეულად რომ ჩავწვდეთ, ადამიანის ბუნების ირგვლივ.

ამ ისტორიულ კამათში ერთ-ერთი მხარეა პოლიტიკური რეალიზმი, რომელიც თუკიდიდედან მოყოლებული პოლიტიკის აზროვნების განუყოფელი გზამკვლევი გახდა. წინამდებარე სტატიაში ჩვენ ვცადეთ გადმოგვეცა ამ ფუნდამენტური სკოლის ძირითადი აქსიომები და იდეები, რითაც გვსურდა აღგვეწერა ის უწყვეტი იდეური ჯაჭვი, რაც ანტიკური ხანიდან დღემდე მოსდევს პოლიტიკურ აზროვნებას.

კვლევის პროცესში ჩვენ შევამჩნიეთ, იმედია მკითხველმაც, რომ პოლიტიკური ფილოსოფია ღრმად გამსჭვალულია ტრაგიზმის გრძნობით. პრობლემის ფორმულირება იმ სახით, სადაც ადამიანი აპრიორი ბოროტი არსებაა, რომელიც თავისა და სხვების საზიანოდ მიდრეკილია ძალადობისკენ და საბოლოოდ ომების გაჩაღებისკენ, ნებისმიერ წესიერ ადამიანში გამოიწვევს დისკომფორტის განცდას და დაისმის კითხვები: ნუთუ ამ სტატიის ავტორები, მკითხველები და ყველა ადამიანი ასეთები ვართ? - აღნიშნულზე პოლიტიკური ფილოსოფია, რადიკალური ფორმით კი პოლიტიკური რეალიზმი, გვიპასუხებს – რა თქმა უნდა!

წლების, საუკუნეებისა და ეპოქების გასვლის მიუხედავად ყოველთვის არსებობდნენ გამოჩენილი მოაზროვნეები, რომლებიც ემპირიულად და თეორიულად იცავენ და ავითარებენ თუკიდიდესეულ მოსაზრებას ადამიანის ბუნებრივ ნაკლოვანებაზე. მეტიც, მოაზროვნეების მასშტაბებიდან გამომდინარე, აღნიშნულ პრობლემაში მოხდა სხვა

დისციპლინების ჩართვაც (მაგალითად, ჰანს მორგენთაუ აქ თანამედროვე ზუსტი მეცნიერებების მიღწევებით აპელირებს და ბიოლოგიურ ფაქტორებს, კერძოდ კი გამრავლების ფუნდამენტურ ინსტიქტს ასახელებს ადამიანის ბუნების გაგების ერთ-ერთ საშუალებად).

თანამედროვე ევოლუციური ბიოლოგიაც მხარს უჭერს მსგავს იდეას. კერძოდ, რიჩარდ დოკინზი (პიროვნება, რომელიც მეცნიერულ დონეზე საერთოდ არ ინტერესდება პოლიტიკური პრობლემებით) წერს: „დედამიწაზე სიცოცხლის შექმნამდე პირველყოფილ ოკეანეებში წარმოიქმნა ორგანული ნივთიერებები – პურინები და პირიმიდინები, რომლებიც დნმ-ის სამშენებლო ბლოკებია. მათ ჯერ კიდევ „პირველყოფილ ბულიონში“ (დაახლოებით 3-4 მილიარდი წლის წინ) დაიწყეს ერთმანეთთან კონკურენცია. დედამიწის ადრეულ ქიმიურ ჰაბიტატში, სადაც რეპლიკატორები – თვითკოპირებადი მოლეკულები – გაჩნდნენ, არსებობისთვის საჭირო რესურსები სწრაფად იქცა დეფიციტურ საქონლად. თავდაპირველად, რეპლიკატორები არსებობდნენ „წვნიანში“, რომელიც შეიცავდა მათი ასლების შესაქმნელად აუცილებელ, მცირე ქიმიურ ბლოკებს. თუმცა მათი გამრავლების პროცესში ეს სამშენებლო მასალები ნელ-ნელა ამოიწურა, რამაც წარმოქმნა ბუნებრივი შეზღუდვები მათი გამრავლებისთვის. ასე დაიწყო კონკურენცია – სხვადასხვა ტიპის რეპლიკატორი იბრძოდა რესურსებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მათ არ ჰქონდათ ცნობიერება ან განზრახვა, ევოლუცია მაინც წარმოიშვა. კოპირებისას მომხდარი შემთხვევითი მუტაციები, რომლებიც ზრდიდა სტაბილურობას ან აფერხებდა მეტოქეს, იწვევდა ერთი რეპლიკატორის გამრავლებას მეორის ხარჯზე. ამრიგად, ბუნებრივმა შერჩევამ თანდათან დახვეწა მოლეკულების სტრატეგიები. ზოგმა რეპლიკატორმა „შეიძინა“ აგრესიული თვისებები – მათ შეეძლოთ მეტოქეების დაშლა და გამოთავისუფლებული ბლოკების გამოყენება საკუთარი კოპირებისთვის. სხვებმა კი თავდაცვითი მექანიზმები განავითარეს, მაგალითად, დამცავი ცილოვანი გარსები. ამგვარმა სტრატეგიებმა ჩაუყარა საფუძველი ცოცხალი უჯრედების წარმოქმნას – რეპლიკატორებმა დაიწყეს საკუთარი დაცული „გადარჩენის მანქანების“ შექმნა, რომლებშიც მათ სიცოცხლე შეეძლოთ (ერთ-ერთი ასეთი მანქანა ადამიანია). რეპლიკატორებს შორის შეუცნობელი კონკურენცია იყო პირველი ევოლუციური პროცესის ფორმა – ბრძოლა რესურსებისთვის, რომელიც შემდეგ სიცოცხლის უფრო კომპლექსურ ფორმებსაც გადაეცა“ (Dawkins, 2022).

როგორც ვხედავთ, კლასიკური პოლიტიკური ფილოსოფიის „მონაპოვარი“ აღმოჩნდა მეცნიერების, საზოგადოების, პოლიტიკისა და სრულიად ბუნების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა. როგორც სტატიაში ვუწოდეთ, „ეგოისტური ადამიანი“ დღეს გაცილებით ნაკლებ კითხვას იწვევს სამეცნიერო დარგებში, ვიდრე სხვა ყველა „კეთილი ადამიანის“ კონცეფცია. აქედან გამომდინარე, როცა ისტორიამაც დაამტკიცა პოლიტიკური ფილოსოფიის ძირითადი პრობლემის – ადამიანის ნაკლოვანების – უაღრესი აქტუალობა, იბადება მთავარი კითხვა: გამოსწორებადია ეს პრობლემა თუ არა? ან ჩვენი სტატიის ფარგლებში რომ დავრჩეთ – მოგვარებადია თუ არა ომის პრობლემა?

აღნიშნული საკითხი რელიგიურ, ფილოსოფიურ, ბიოლოგიურ და სხვა უამრავ სფეროში განიხილება უკვე მრავალი საუკუნეა, მაგრამ, ამ კითხვის აქტუალობა გვიჩვენებს, რომ პრობლემა მოუგვარებელი რჩება. შესაბამისად, აღნიშნულ სტატიაში მისი მოგვარების მცდელობაც კი „მკრეხელობად“ მიგვაჩნია. ჩვენი მისია იყო წარმოგვეჩინა აღნიშნული პრობლემატიკის აქტუალობა, მიგვეცა მკითხველისთვის მეტი თვითრეფლექსირების საშუალება და მეტი ინტერესი გაგვეჩინა პოლიტიკური თეორიის მიმართ.

მიგვაჩნია, რომ ბოლოსიტყვაობად კარგად გამოდგება ჰანს მორგენთაუს ციტატა: „ადამიანი მხოლოდ "პოლიტიკური ადამიანი" რომ იყოს, იგი ყოველგვარ მორალურ შემაკავებელს მოკლებული მხეცი იქნებოდა, ადამიანი მხოლოდ "მორალური ადამიანი" რომ იყოს, ის ყოველგვარ კეთილგონიერებას მოკლებული სულელი იქნებოდა. ადამიანი მხოლოდ "რელიგიური ადამიანი" რომ იყოს, იგი ყოველგვარ ამქვეყნიურ მისწრაფებებს მოკლებული წმინდანი იქნებოდა“.

ლიტერატურა

1. Dawkins, R. (2022). *The selfish gene* (40th anniversary ed.). Science Hub.
2. Hobbes, T. (2012). *Leviathan* (N. Malcolm, Ed.). Clarendon Press.
3. Kenyon, J. P. (1986). *Stuart England* (2nd ed.). Penguin.
4. Morgenthau, H. J. (2006). *Politics among nations: The struggle for power and peace* (7th ed., K. W. Thompson & W. D. Clinton, Rev. eds.). McGraw-Hill.
5. Pataraia, D. (2015). *International relations: Discipline and theory*. Arte.
6. Tarnas, R. (1991). *The passion of the Western mind: Understanding the ideas that have shaped our world view*. Ballantine Books.
7. Thucydides. (2013). *History* (L. Gordeziani, Adapt. text). Bakur Sulakauri Publishing.
8. Thucydides. (1900). *History of the Peloponnesian War* (E. C. Marchant, Trans.).
9. Wilson, P. H. (2009). *Europe's tragedy: A history of the Thirty Years War*. Allen Lane.
10. Xenophon. (1925). *Constitution of the Lacedaemonians* (E. C. Marchant, Trans.). In *Xenophon: Scripta minora* (Loeb Classical Library 183). Harvard University Press.
11. Hoffmann, S. (1977). An American social science: International relations. *Daedalus*, *106*(3), 41–60.
12. Osiander, A. (2001). Sovereignty, international relations, and the Westphalian myth. *International Organization*, *55*(2), 251–287.
13. The Montreal Review. (2025). *Taming the animus dominandi*. https://static1.squarespace.com/static/52dfc9b0e4b001080044aaf9/t/677d3857b171ac5ae3704493/1736259671734/TAMING+THE+ANIMUS+DOMINANDI+-+THE+MONTREAL+REVIEW+2025-01-05.pdf
14. E-International Relations. (2008, March 3). *Evil human nature as a necessary assumption of neorealist view on international politics*. https://www.e-ir.info/2008/03/03/evil-human-nature-as-a-necessary-assumption-of-neorealist-view-on-international-politics/

UDC 327.1
SCOPUS CODE 3320
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-4-306-325

Human Nature and the Causes of War in International Relations: A Comparative Study of Thucydides, Hobbes, and Morgenthau

Daviti Khupenia Department of Politics and International Relations, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: khupenia.d@gtu.ge

Omari Lortkipanidze Department of Politics and International Relations, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: omikolordkipanidze@gmail.com

Koba Rukhadze Department of Politics and International Relations, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: kobaruxadze2@gmail.com

Reviewers:

S. Midelashvili, Professor, Faculty of Law and International Relations, GTU
E-mail: midelashvilisopo07@gtu.ge
T. Kupreishvili, Associate Professor, Faculty of Law and International Relations, GTU
E-mail: t.kupreishvili@gtu.ge

Abstract. This article seeks to analyse the phenomenon of war—or more precisely, the aspects of human nature that precipitate war—through the lens of three key figures associated with the paradigm of political realism: Thucydides, Thomas Hobbes, and Hans Morgenthau. Although these thinkers belong to distinct periods in the history of philosophy (antiquity, early modernity, and modernity, respectively), their works converge on a central concern: the human being, or more accurately, the inherent imperfection of human nature. Furthermore, a striking commonality among all three theorists is their profound sense of tragedy regarding both politics and humanity.

Given these observations, this study aims to examine the shared conceptual foundations upon which Thucydides, Hobbes, and Morgenthau construct their depictions of the "political man" while investigating the causes of war. A key objective is to trace the theoretical and conceptual lineage that has been transmitted across these thinkers over 2,500 years. The enduring relevance of this inquiry has led us to two principal conclusions: (1) political philosophy remains fundamentally preoccupied with the problem of human nature, and (2) this problem persists unresolved to the present day. This article endeavors to thoroughly analyse these conclusions and demonstrate their continued significance.

The relevance of this study lies precisely in its focus on the problematic nature of human nature as a root cause of war within the framework of political realism. The research is based on a close examination of the works of

Thucydides, Hobbes, and Morgenthau, employing the following methodological approaches: textual analysis, hermeneutics (interpretive method), comparative analysis, conceptual analysis, historical-contextual method, and discourse analysis. It is our hope that this article will effectively convey the enduring importance of this issue in the history of political thought and stimulate further interest in classical political philosophy.

Keywords: Hans Morgenthau; human nature; political realism Thucydides; war; human nature.

განხილვის თარიღი 25.05.2025
შემოსვლის თარიღი 02.06.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.12.2025